თიბისი ბანკი
TBC BANK

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

# მეორე კვარტალი
# Second Quarter 2010

## SMART CLUB – თიბისი ბანკის ერთგული კლიენტებისთვის!

ბონუსი და საჩუქარი იმისათვის, რომ უბრალოდ ხართ თიბისი ბანკის კლიენტი! ასეთია თიბისი ბანკის Smart Club–ის მთავარი იდეა.

Smart Club თიბისი ბანკის ერთგულ მომხმარებლებს გააერთიანებს და შესთავაზებს მათ ქართულ საბანკო სექტორში სრულიად ახალ, ინოვაციურ მომსახურებას.

კერძოდ, კლუბის წევრები ბანკისგან მრავალფეროვანი საჩუქრებით დასაჩუქრდებიან, თანაც ისე, რომ ამისათვის არავითარი დამატებითი და განსაკუთრებული ძალისხმევა არ დასჭირდებათ – ისინი ჩვეულებრივად ისარგებლებენ ბანკის მომსახურებით და, ამ სერვისებით სარგებლობისას, დაუგროვდებათ Smart ქულები, რომლებსაც შემდეგ, პარტნიორ ობიექტებში, სასურველ საჩუქრებზე გადაცვლიან.

შედეგად, Smart Club-ის წევრებს, საბანკო ბარათით გაკეთებული თითოეული შენაძენი, ბანკში დაგროვილი დანაზოგი, თუ აღებული





ქულების დარიცხვით, ბანკი მადლობას უხდის თავის ლოიალურ კლიენტებს და აძლევს მათ დამატებით სარგებელს, თიბისი ბანკის მომსახურებით სარგებლობისთვის.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებგვერდზე: www.smatrclub.ge.

## SMART CLUB
## FOR TBC BANK'S LOYAL CUSTOMERS




Bonus and present just for being our client – this is the main idea of TBC Bank's Smart Club. From now on Smart Club will unite TBC Bank's loyal customers and offer them the most unique and innovative service in Georgian banking sector.

More precisely, the members of the club will receive various presents from the bank without making any additional and significant efforts – they will be awarded Smart points just for using our services which afterwards can be exchanged for presents at our partner stores and service providers.

As a result, each purchase made with our bank card, each saving or loan will bring new, additional benefit to our customers.

By awarding points TBC Bank expresses its gratitude to loyal customers and gives them additional benefits for using TBC Bank's services.

For additional information please visit special Smart Club website: www.smartclub.ge

smart club
მიიღე უფრო მეტი!

## ავტო NEWS-ები თიბისი ბანკისგან

მაისი და ივნისი თიბისი ბანკმა ავტომობილების შეძენის თვეებად გამოაცხადა და მომხმარებელს მნიშვნელოვანი ავტოსიახლეები შესთავაზა. თითოეული ეს სიახლე ავტოსესხებს შეეხება და საშუალებას აძლევთ ავტომოყვარულებს, კიდევ უფრო გამარტივებული და ხელსაყრელი პირობებით შეიძინონ სასურველი მანქანა.

რაც მთავარია, ნებისმიერი ავტოგანვადების დამტკიცება ხდება სულ რაღაც 30 წუთში და მხოლოდ პირადობის მოწმობის საფუძველზე!

### ავტო NEWS N1
### 0%-იანი ავტოგანვადება ახალ ავტომობილებზე

ახალი ავტომობილის შეძენის მსურველებს თიბისი ბანკი ქართულ ბაზარზე ყველაზე კომფორტული, სწრაფი და იაფი – 0%-იანი ავტოგანვადებით აფინანსებს. ასეთი განვადებით ავტომობილის შეძენა შესაძლებელია ბანკის ნებისმიერ პარტნიორ სადილეროში, მინიმუმ 30%-იანი თანამონაწილეობით.

### ავტო NEWS N2
### ავტოიმპორტი განვადებით

თიბისი ბანკის შემდეგი სიახლე განკუთვნილია მათთვის, ვისაც სურს შეიძინოს ნებისმიერი ტიპის მეორადი ავტომობილი საზღვარგარეთ, დააფინანსოს მისი იმპორტი და გადაიხადოს ღირებულება მისთვის მისაღებ ვადაში.

თიბისი ბანკი კომპანიასთან Strada Auto (GBI autotrade) ერთად, გთავაზობთ ავტო-მობილების ფართო არჩევანს, უცხოეთიდან მათი ტრანსპორტირების უზრუნველყოფასა და ყველაზე იაფიან დაფინანსებას.

## AUTO NEWS FROM TBC BANK

TBC Bank announced May and June as months of purchasing cars and offered customers significant auto novelties. Each of these novelties is related to auto loans and enables motorists to purchase the desired car under simplified and improved terms.

What is more important, any car installment is approved in just 30 minutes and the customer has to present only an ID card.

### Auto NEWS N1:
### 0% car Installment for new automobiles

For those who wish to buy a new car, TBC Bank has a special offering – the most comfortable, fastest and cheapest car installment on Georgian market. Cars with this auto loan can be purchased at any of the TBC Bank's partner dealers with minimum 30% cost sharing.

### Auto NEWS N2:
### Auto loan for car import

The next novelty from TBC Bank is for those, who wish to buy any type of second-hand car from abroad, finance the import of the car and pay the for the purchase within a



## ავტო NEWS N3
## ჩაანაცვლე ძველი ახლით!

თიბისი ბანკმა და კომპანიამ IBG (Iberia Business group) მომხმარებელს ძველი მანქანის ახლით შეცვლის ყველაზე მარტივი და კომფორტული გზა შესთავაზეს.

IBG-ის სადილეროებში: Renault/Nissan, Audi/Skoda/Volkswagen ან Kia/Peugeot ავტომობილის შერჩევის შემთხვევაში, ექსპერტების მიერ ადგილზევე ხდება ძველი მანქანის შეფასება და, მისი ღირებულებით, პირველადი შენატანის დაფინანსება. დარჩენილი თანხა იფარება ავტოგანვადებით, რომლის წლიური საპროცენტო განაკვეთი 16%-დან იწყება.

## ავტო NEWS N4
## თიბისი ბანკი ავტოიმპორტის ქსელს აფართოებს!

თიბისი ბანკმა ავტოიმპორტიორი კომპანიების ქსელი გააფართოვა და საზღვარგარეთიდან ავტომობილების ჩამოყვანის მსურველებს განვადების სერვისი უკვე „კავკასიის ავტო იმპორტშიც" შესთავაზა.

ავტოიმპროტის დაფინანსება შესაძლებელია, თიბისი ბანკის სტანდარტული ან სწრაფი ავტოგანვადებით, შემდეგი პირობებით:

From now on TBC Bank together with Strada Auto (GBI Autotrade) offers you a wide range of cars, the import of cars from abroad and the cheapest financing of the purchase.

## Auto NEWS N3:
## Replace an old with new

TBC Bank and company IBG (Iberia Business Group) offer customers the easiest and the most comfortable way of replacing an old car with a new one.

If the car is selected in the dealer shops of Renault/Nissan, Audi/Volkswagen and Kia/Peugeot, the expert will evaluate the car at place and first deposit will be financed with the value of the old car. The rest of the sum will be paid with installment car loan, the annual interest of which starts from 16%.

## Auto NEWS N4:
## TBC Bank is expanding the auto import network!

TBC Bank has expanded the network of the automobile importer companies and now those who wish to import car from abroad can enjoy the service of car installments at "Caucasus Auto Import" as well.

Car import can be financed with a standard or express auto loan under following terms:




| სტანდარტული ავტოგანვადება: | STANDARD CAR INSTALLMENT: |
|---|---|
| • მაქსიმალური თანხა – 50 000 აშშ დოლარი<br>• წლიური საპროცენტო განაკვეთი – 18%-დან<br>• მაქსიმალური ვადა – 10 წელი<br>• თანამონაწილეობა – 0% | • Maximum Amount: USD 50 000<br>• Annual interest rate: from 18%<br>• Maximum term: 10 years |
| **სწრაფი ავტოგანვადება:** | **EXPRESS CAR INSTALLMENT:** |
| • მაქსიმალური თანხა – 20 000 აშშ დოლარი<br>• წლიური საპროცენტო განაკვეთი – 18%-დან<br>• მაქსიმალური ვადა – 5 წელი<br>• თანამონაწილეობა – 30%-დან | • Maximum Amount: USD 20 000<br>• Annual interest rate: from 18%<br>• Maximum term: 5 years<br>• Cost sharing: 30% |

## თიბისი ბანკი სავაჭრო ოპერაციების დაფინანსებაში ყველაზე აქტიურ ბანკად დასახელდა

ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკმა (EBRD) თიბისი ბანკი სავაჭრო ოპერაციების დაფინანსებაში 2009 წლის ყველაზე აქტიურ ბანკად დაასახელა საქართველოში. დაჯილდოების ცერემონია ზაგრებში, EBRD-ის ყოველწლიურ შეხვედრაზე გაიმართა. შეხვედრაზე მოხდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ყველაზე აქტიური საფინანსო ინსტიტუტების გამოვ-ლენა და საქართველო ამ სიაში, რუსეთის შემდეგ, მეორე ადგილზე დასახელდა. მესამე და მეოთხე ადგილები უკრაინასა და ყაზახეთს მიეკუთვნა.

## TBC BANK WAS NAMED AS THE MOST ACTIVE BANK IN TRADE FINANCE

European Bank for Reconstruction and Development (EBRD) named TBC Bank as the most active bank of 2009 in trade finance. The award ceremony took place in Zagreb, at the annual meeting of EBRD. During the meeting the most active financial institutions of South–eastern European countries were revealed. In this list Georgia was named second following Russia at first place. The third and fourth




## თიბისი ბანკის ახალი სერვის ცენტრი

თბილისი ცენტრალში (მის: ვაგზლის მოედანი №2) თიბისი ბანკის კიდევ ერთი ახალი სერვის ცენტრი გაიხსნა, რომელიც კვირაში 7 დღე მოემსახურება მომხმარებელს და ადგილზე შესთავაზებს სრულ საბანკო სერვისს.

დღეისთვის საქართველოს მასშტაბით ფუნ-ქციონირებს თიბისი ბანკის 36 ფილიალი და 7 სერვის ცენტრი.

## TBC BANK'S NEW SERVICE CENTRE

One more new service centre opened its doors in Tbilisi Central (2 Vagzali Square). It will serve customers 7 days a week and offer them a full spectrum of banking services.

Currently 36 branches and 7 service centers of TBC Bank operate in Georgia.






## ბალანსი 2010 წლის 30 ივნისის მდგომარეობით / BALANCE SHEET AS OF JUNE 30, 2010

გამოსახული ათას ლარებში / Expressed in thousand GEL

| | | |
|---|---|---|
| **აქტივები** | | **ASSETS** |
| ნაღდი ფული და სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 174,005 | Cash and due from National Bank of Georgia |
| მოთხოვნები ბანკების მიმართ | 204,869 | Due from other banks |
| სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები | 137,497 | Government treasury bills |
| წმინდა საკრედიტო პორტფელი | 1,170,412 | Net loans portfolio |
| ინვესტიციები | 23,265 | Investment securities |
| ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | 150,875 | Tangible fixed assets and intangible assets |
| სხვა აქტივები | 111,423 | Other assets |
| **სულ აქტივები** | *1,972,346* | **TOTAL ASSETS** |
| **ვალდებულებები** | | **LIABILITIES** |
| ვალდებულებები ბანკების მიმართ | 446,312 | Due to other banks |
| ვალდებულებები კლიენტების მიმართ | 1,131,566 | Due to customers |
| სხვა ვალდებულებები | 61,104 | Other liabilities |
| **სულ ვალდებულებები** | **1,638,982** | **TOTAL LIABILITIES** |
| **კაპიტალი** | | **SHAREHOLDER'S EQUITY** |
| საწესდებო კაპიტალი | 15,000 | Share capital |
| აქციების ნომინალზედა ღირებულება | 201,723 | Share premium |
| გადაფასების რეზერვი | 30,467 | Revaluation reserves |
| გაუნაწილებელი მოგება | 86,174 | Retained earnings |
| **სულ კაპიტალი** | **333,364** | **TOTAL SHAREHOLDER'S EQUITY** |
| **სულ ვალდებულებები და კაპიტალი** | *1,972,346* | **TOTAL LIABILITIES AND SHAREHOLDER'S EQUITY** |

თიბისი ბანკის წილი 11 უმსხვილეს ბანკს შორის ფიზიკური პირების სესხების მიხედვით

SHARE IN INDIVIDUAL LOANS AMONG 11 BANKS



# მოგება-ზარალის უწყისი 2010 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისამდე პერიოდისთვის
# INCOME STATEMENT FOR THE PERIOD OF JANUARY 1 - JUNE 30, 2010

| გამოსახული ათას ლარებში | | Expressed in thousand GEL |
|---|---|---|
| საპროცენტო შემოსავალი | 110,191 | Interest income |
| საპროცენტო ხარჯი | 52,094 | Interest expenses |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | ***58,097*** | **Net interest income** |
| აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვი | 20,927 | Provisions for assets losses |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი დარეზერვების შემდეგ** | ***37,170*** | **Net interest income after provisions for loan losses** |
| წმინდა საკომისიო შემოსავალი | *11,239* | Net fee and commission income |
| სხვა არასაპროცენტო შემოსავალი | *23,860* | Other non-interest income |
| არასაპროცენტო ხარჯები | *47,616* | Non-interest expenses |
| **მოგება დაბეგვრამდე** | ***24,653*** | **Profit before taxes** |
| მოგების გადასახადი | 4,314 | Tax expense |
| **წმინდა მოგება** | ***20,339*** | **Net profit** |

მთლიანი კაპიტალი და აქტივები
TOTAL EQUITY AND TOTAL ASSETS

გამოსახული ათას ლარებში
Expressed in thousand GEL




ანაბრები
TOTAL DEPOSITS

გამოსახული ათას ლარებში
Expressed in thousand GEL



## ლიტერატურული კონკურსი "საბა"–2010 წარმატებით შედგა

4 ივლისს, თიბისი ბანკის სათავო ოფისში ლიტერატურული პრემია "საბას" რიგით მერვე დაჯილდოება გაიმართა.

5-კაციანმა ჟიურიმ 2009 წლის საუკეთესო წიგნები და ავტორები გამოავლინა. ამჯერად პრემია "საბა" გადაეცათ:

- წლის საუკეთესო რომანი:
  ნაირა გელაშვილის „პირველი 2 წრე".
- წლის საუკეთესო პროზაული კრებული:
  კოტე ჯანდიერის „კონკიას ღამე".
- წლის საუკეთესო პოეტური კრებული:
  ზვიად რატიანის „ნეგატივი".
- წლის საუკეთესო თარგმანი:
  მანანა ღარიბაშვილი, გაიუს ვალერიუს კატულუსის „ლექსების წიგნი".
- წლის საუკეთესო დებიუტი:
  მაკა ლდოკონენის „ქიშმიშიანი ამბები".
- წლის საუკეთესო პიესა:
  თამარ ბართაიას "მთავარი როლი".

## LITERARY COMPETITION SABA 2010 WAS HELD SUCCESSFULLY

On 4th of July in the head office of TBC Bank the 8th award ceremony of literary competition Saba was held.

A jury consisting of 5 members revealed best works and authors of 2009.

This time the award Saba was given to:

- Best novel of the year:
  "The first two rounds" by NAIRA GELASHVILI
- The best collection of short stories of the year:
  "Cinderella's night" by KOTE JANDIERI]
- The best collection of poems of the year:
  "Negative" by Zviad Ratiani
- The best translation of the year:
  "Book of Poems" by Gaius Valerius Catullus, translated by MANANA GHARIBASHVILI
- The best debut of the year:
  " Stories with raisin" by MAKA LDOKONEN
- The best play of the year:
  "Major role" by TAMAR BARTAIA







- წლის საუკეთესო კრიტიკა, ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა: ზურაბ ქარუმიძის „ჯაზის ცხოვრება“.

- პრემია ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის: გურამ დოჩანაშვილი.





- The best critique, essay and documentary prose of the year: "Jazz life" by ZURAB KARUMIDZE

- Award for special contribution to the development of Georgian literature: GURAM DOCHANASHVILI

ყოველწლიური ლიტერატურული პრემია „საბა“ 2003 წელს დააფუძნეს თიბისი ბანკმა, ტელეკომპანიამ „რუსთავი-2“ და ქართულმა პენკლუბმა.

კონკურსის მიზანია წინა ერთი წლის ლიტერატურული პროცესების შეფასება და წლის საუკეთესო წიგნების და ავტორების გამოვლენა.

„საბას“ პრიზთან ერთად, გამარჯვებულ ავტორებს, თიბისი ბანკისგან გადაეცათ ფულადი პრემიები: პირველ 7 ნომინაციაში გამარჯვებულმა თითოეულმა ავტორმა მიიღო 4 ათასი ლარი, ხოლო ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის პრემირებულმა – 8 ათასი ლარი.

Annual literary award Saba was founded in 2003 by TBC Bank, Broadcasting company Rustavi-2 and Georgian Pen-club.

The aim of the competition is to evaluate the processes of the year and reveal best works and authors.



In addition to the award Saba, the winners were given monetary prizes from TBC Bank. The winners of the first seven nominations were awarded by GEL 4 000 and the winner of award for special contribution to Georgian literature was given GEL 8 000.

## თიბისი გალერეა თბილისში

20 აპრილს გაიმართა ცნობილი ქართველი მხატვრების, გივი და გიორგი ვაშაკიძეების ნამუშევრების გამოფენა

26 – 27 აპრილს, თიბისი გალერეაში გაიმართა ფესტივალის "ქართული სული" გახსნა, თამარ მეფის საქველმოქმედო ფონდის პრეზენტაცია და აკაკი წერეთლის პოეზიის საღამო.

27 აპრილს, თიბისი გალერეამ უმასპინძლა ეთნოგრაფიული თოჯინების გამოფენას "კავკასიის ქალთა ჩაცმულობა" – ავტორი ასმათ საღირიძე.

14 მაისს, თიბისი გალერეაში შედგა გია გუგუშვილის ნამუშევრების გამოფენა და პიერ ჰესლერის ხელოვნების ფონდის მიერ გამოცემული, მისი კატალოგის პრეზენტაცია.

17 მაისს, თიბისი გალერეამ უმასპინძლა მხატვარ კოკა ცხვედიანის პერსონალურ გამოფენას სახელწოდებით "ტერიტორიები".

2 ივნისს გაიმართა სოხუმელი მხატვრის, ელდარ ქავშბაიას პერსონალური გამოფენა "ეპიზოდები ჩემი მეხსიერებიდან".

## TBC GALLERY IN TBILISI

On April 20th the works of Givi and Giorgi Vashakidzes were exhibited.

On April 26th – 27th TBC Gallery hosted a press conference of the festival Georgian Spirit, presentation of Queen Tamar's Charity Fund and Poetry Soirée of Akaki Tsereteli.

On April 28th an ethnographic puppets' exhibition "Clothing of Caucasian Women" by Asmat Saghinadze was held in TBC Gallery.

On May 14th works of Gia Gugushvili were exhibited and a catalog published by Pierre Hesler Art Fund was presented.

On May 17th a personal exhibition „Territories" of artist Koka Tskhvediani was held.

On June 2nd TBC Gallery hosted artist Eldar Kavshbaia's personal exhibition "Episodes from my memory".

On June 8th TBC Gallery's guest was journalist Neli Kobiashvili, who presented literary version of popular TV project "Distant acquaintance".







8 ივნისს, თიბისი გალერეაში ჟურნალისტმა ნელი კობიაშვილმა, წარმოადგინა პოპულარული საავტორო სატელევიზიო პროექტის ლიტერატურული ვარიანტი – წიგნი “შორეული ახლობელი”.

10 ივნისს, თიბისი გალერეაში გაიმართა მხატვარ ლალი დანილუკის პერსონალური გამოფენა “ის, რაც მინდოდა მეთქვა”.









## თიბისი გალერეა ბათუმში

4 მაისს, ბათუმის თიბისი გალერეაში გაიმართა აქცია „ერთად დავხატოთ გაზაფხული”. ცნობილმა ქართველმა მხატვრებმა, გია გუგუშვილმა და ქეთი მატაბელმა, წმინდა მატათა მოციქულის სახელობის გიმნაზია-პანსიონის აღსაზრდე-ლებთან ერთად, გალერეაში გამოფენილი უზარმაზარი პანო მოხატეს. პატარებთან ერთად პანოს მოხატვაში მონაწილეობა მიიღეს თიბისი ბანკის აქციონერებმაც.

8 ივნისს, ბათუმის თიბისი გალერეაში, თიბისი ბანკის და ბათუმის მერიის ორგანიზებით, მოეწყო ფოტოგამოფენა „ქართველები ოსმალეთში”. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო XIX–XX საუკუნეებში თურქეთში მოღვაწე მაღალჩინოსანი ქართველების ცხოვრების ამსახველი ფოტომასალა და მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

## TBC GALLERY IN BATUMI

On May 4th TBC Gallery hosted an event “Let’s paint the spring together”. Famous Georgian artists Gia Gugushvili and Keti Matabeli together with the students from St. Matata Gymnasium painted a huge panel in the gallery. Shareholders of TBC Bank participated in this activity.

On June 8th in TBC Gallery TBC Bank and the mayor of Batumi organized a photo exhibition named “Georgians in Ottoman Empire”. Photos of the lives of prominent Georgian people living in Turkey in XIX –XX centuries and short notes on their biography were exposed.



თიბისი ბანკი
TBC BANK

თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 7
7 Marjanishvili St., Tbilisi, Georgia
E-mail: info@tbcbank.com.ge
www.tbcbank.ge